პრეზიდენტი: "მე პუტინს ვეუბნები, რომ..."
ოთხშაბათი, 07 აგვისტო 2013 13:42

ამა წლის სექტემბერში სანქტ-პეტერბურგში "დიდ ოცეულში" შემავალი ქვეყნების სამიტი ჩატარდება. CNN-ის ინფორმაციით, მიუხედავად იმისა, რომ ბარაკ ობამამ განაცხადა, რომ სამიტს დაესწრება, არაფერი არ უთქვამს იმის შესახებ, შეხვდება თუ არა ის პუტინს. აქამდე თეთრი სახლის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აშშ-ის მთავრობა პრეზიდენტების პირისპირ შეხვედრის მიზანშეწონილობაზე ფიქრობს.
ობამას თქმით, რუსეთის მთავრობა დროდადრო ისევ იხრება ცივი ომისკენ:
"მე პუტინს ვეუბნები, რომ ეს უკვე წარსულშია, ჩვენ მომავალზე უნდა ვიფიქროთ. ჩვენ იმის მიზეზი არ გვაქვს, რომ ეფექტური თანამშრომლობა არ განვახორციელოთ", - განაცხადა ობამამ ინტერვიუში
პრეზიდენტმა აგრეთვე აღნიშნა, რომ ამჟამად აშშ-ში მოქალაქეების პირადი საუბრების და მიმოწერების შემომწმებელი სისტემა არ არის:
"ჩვენთან მხოლოდ ზოგიერთი მექანიზმები გვაქვს, რომლის საშუიალებითაც მხოლოდ ტერორისტულ საფრთხესთან დაკავშირებულ სატელეფონო საუბრებს და ელექტრონულ მისამართებს ვუთვალთვალებთ".

1 / 1